საქართველოს
მთავრობის ადმინისტრაცია

ADMINISTRATION
OF THE GOVERNMENT OF GEORGIA

GOV 5 20 00022094

16/06/2020

საქართველოს პარლამენტს

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 117-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, გაცნობებთ, რომ „წამლისა და ფარმაცევტული საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის პროექტის დაჩქარებული წესით განხილვა მიზანშეწონილია შემდეგი გარემოების გათვალისწინებით:

არსებული პრაქტიკისა და რეალობის გათვალისწინებით, „წამლისა და ფარმაცევტული საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის მოქმედი დებულებები, ზოგიერთი მიმართულებით, არ ითვალისწინებს ტერმინთა მკაფიო განმარტებებს, ასევე, ზოგიერთ შემთხვევაში, დაზუსტებას საჭიროებს ფარმაცევტული პროდუქტის რეგისტრაციასთან დაკავშირებული საკითხები, რამდენადაც საკითხი ეხება ადამიანის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას, მნიშვნელოვანია, რომ აღნიშნულ პროცესთან დაკავშირებული ყველა რისკი მაქსიმალურად მოკლე დროში იქნეს აღმოფხვრილი და შემცირებული, კანონით გათვალისწინებული ყველა რეგულაცია იყოს მკაფიო და ქმედითი, რათა სსიპ - სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტომ შეძლოს თავისი მოვალეობების ეფექტიანად განხორციელება.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 117-ე მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე, გთხოვთ, წარმოდგენილი საკანონმდებლო ინიციატივა საქართველოს პარლამენტის მიერ განხილულ და მიღებულ იქნეს დაჩქარებული წესით.

ამასთან, საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის მე-100 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, გაცნობებთ, რომ ზემოაღნიშნული კანონპროექტი ასახული არ ყოფილა საქართველოს პარლამენტის 2020 წლის საგაზაფხულო სესიისთვის გათვალისწინებულ საქართველოს მთავრობის კანონშემოქმედებითი საქმიანობის მოკლევადიან გეგმაში, რაც განპირობებული იყო იმ გარემოებით, რომ, მოცემულ ეტაპზე, მოხდა ფარმაციის სფეროში არსებული კანონმდებლობის რევიზია მათი როგორც საერთაშორისო, ისე ქვეყნის შიდა პრაქტიკასთან თავსებადობის კუთხით. შეფასების მიხედვით, ხშირ შემთხვევაში, არსებული ნორმები (ტერმინთა განმარტებები და ა.შ.) ვერ პასუხობენ საერთაშორისო ბაზარზე არსებულ გამოწვევებს და ზოგიერთ შემთხვევაში კი შეიცავენ გარკვეულ ნაკლოვანებებს ტექნიკური

მიმართულებით. შესაბამისად, მთავრობის კანონშემოქმედებითი საქმიანობის მოკლევადიანი გეგმის მომზადების შემდგომ, მიღებულ იქნა გადაწყვეტილება არსებულ ნორმებში მეტი სიცხადის შეტანისა და მათი დახვეწის კუთხით.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის მე-100 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, გთხოვთ, გაითვალისწინოთ წარმოდგენილი დასაბუთება.

მთავრობის საპარლამენტო მდივანი
ბექა დოჭვირი